ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | შემოდგომა 2024
U5 (III, IV, V კლასები)

1. 5 ქულიანი შეკითხვა
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა რეგიონულ ტურში! მაორის ტომში **ცხვირებით შეხება იქსის ფორმაა**. იაპონიაში იქსის დროს **თავს ხრიან,** საქართველოში კი **ხელს ართმევენ** ან **ლოყაზე კოცნიან**. დაწერეთ, რა შევცვალეთ იქსით.

პასუხი: მისალმება
კომენტარი: სიტყვები "კეთილი იყოს თქვენი მოსვლა" დამატებითი მინიშნება იყო შეხვედრისას საუბრის თავაზიანად დაწყებაზე. შეხვედრისას მისალმებას სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა ტრადიცია აქვს. ამ შეკითხვით ჩვენ მისალმება დავასრულეთ.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Hongi

2. 6 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
მასალაზე გამოსახულია პოსტერი, რომლის პერსონაჟებიც ზედმეტად **დიდ დროს** ატარებენ ერთ **სატელეფონო აპლიკაციაში**. **რვა ასოს** გამოყენებით დაასახელეთ ეს აპლიკაცია.

პასუხი: Facebook / ფეისბუქი
კომენტარი: მოცემული პოსტერი ტელეფონთან ნაკლები დროის გატარებისაკენ მოგვიწოდებს. ალბათ შენიშნავდით, რომ პერსონაჟის ლურჯი ფერი და ასო-ბგერა F-ის მსგავსი მოხრილი პოზა წააგავს ფეისბუქის ლოგოს.
წყარო: https://projectauthenticity.org/wp-content/uploads/2018/04/img_2873-1.jpg

3. 7 ქულიანი შეკითხვა
მურმან ლებანიძის ლექსის თანახმად, **იქსი ყველას უყვარს** რამდენიმე მიზეზის გამო. მათ შორის "იმიტომ, რომ **სავსეა კალათი** და **გოდორი**" და "იმიტომ, რომ **ირევა ცაში ოქროს ფოთოლი**". დაასახელეთ იქსი **ცხრაასოიანი** სიტყვით.

პასუხი: შემოდგომა
კომენტარი: შემოდგომის პერიოდში მოსავალს იღებენ, რაც კალათებსა და გოდრებს ავსებს. ფოთოლცვენის დროს კი ფოთლები ყვითლდება. ლექსი ეძღვნებოდა შემოდგომას.
წყარო:
https://www.aura.ge/323-leqsebi-shemodgomaze/4679-murman-lebanidze--shemodgoma.html

4. 5 ქულიანი შეკითხვა
ბარონი მიუნჰაუზენი მოგვითხრობს, რომ ერთხელ **ჭაობში იხრჩობოდა**, რა დროსაც **იქსში ხელი წაივლო** და საკუთარი თავი ჭაობიდან **ამოათრია**. ერთ **ზღაპარში პრინცესას იქსი** ციხესიმაგრეში **აძრომის ერთადერთი გზაა**. დაასახელეთ იქსი **მოკლე** სიტყვით.

პასუხი: თმა
კომენტარი: ბარონი მიუნჰაუზენი ცნობილია დაუჯერებელი ამბების თხრობით. ბარონის თქმით, მან თმაში ხელი წაივლო და ჭაობიდან საკუთარი თავი ამოიყვანა. რაპუნცელის გრძელი თმა მის ციხესიმაგრეში ასვლის ერთადერთი საშუალებაა.
წყარო: რუდოლფ რასპე - ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი
https://en.wikipedia.org/wiki/Rapunzel

5. 6 ქულიანი შეკითხვა
ერთი წიგნის პერსონაჟები ააგებენ **უზარმაზარ ზარბაზანს**, რომლის მეშვეობითაც **იქსზე მოხვედრას ეცდებიან**. იქსზე პირველად **ნილ არმსტრონგი** მოხვდა **1969 წელს**. დაასახელეთ იქსი **ექვსასოიანი** სიტყვის გამოყენებით.

პასუხი: მთვარე
კომენტარი: პერსონაჟები ზარბაზანში ჩაჯდებიან და მთვარის მიმართულებით ისვრიან საკუთარ ხომალდს. პირველი ადამიანი, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა, ნილ არმსტრონგი იყო.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/From_the_Earth_to_the_Moon
https://www.rmg.co.uk/stories/topics/how-many-people-have-walked-on-moon

6. 7 ქულიანი შეკითხვა
2019 წელს **სპორტის** ერთი სახეობის **პატივსაცემად საქართველოს** ეროვნულმა ბანკმა **უჩვეულო მონეტა** გამოუშვა. საქმე ისაა, რომ მონეტა **არა მრგვალი**, არამედ **ოვალური** იყო. დაასახელეთ სპორტის ეს სახეობა.

პასუხი: რაგბი
კომენტარი: რაგბის ბურთი, ბევრ სხვა სპორტში გამოყენებული ბურთებისგან განსხვავებით, არა მრგვალი, არამედ ოვალურია. ამ ფორმის მონეტით პატივისცემა გამოხატეს რაგბის მიმართ.
წყარო: https://moneymuseum.nbg.gov.ge/index.php?m=268&cat_id=9&pid=206

7. 5 ქულიანი შეკითხვა
ხვიჩა კვარაცხელიას განცხადებით, **კრიშტიანუ რონალდუ** მისი **საყვარელი ფეხბურთელია**. სწორედ ამის გამო, კვარაცხელიას **ნაპოლის მაისურზე ორი იქსის** ნახვა შეგვიძლია. დაწერეთ რა შევცვალეთ იქსით.

პასუხი: შვიდიანი
ჩათვლა: ციფრი შვიდი; 7
კომენტარი: რონალდუ შვიდი ნომრით თამაშობს, კვარას კი 77 აწერია. მის მაისურზე ორი შვიდიანი რონალდუს მიმართ პატივისცემის სიმბოლოა. შეკითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება გახლდათ.
წყარო:
https://sportall.ge/fekhburthi/fekhburthii/legionerebi/161052-kvarackheliam-akhsna-ratom-airchia-77-e-nomeri-qnapolishiq.html

8. 6 ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

გადმოცემის თანახმად, **წმინდა ნიკოლოზმა** ღარიბ ოჯახს **ბუხართან** გასაშრობად დატოვებულ **წინდებში საჩუქრები დაუტოვა**. ამ გადმოცემას ხშირად უკავშირებენ ხოლმე **იქსს**. იქსს ჰყავს **ცხრა ირემი**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: სანტა კლაუსი
ჩათვლა: თოვლის ბაბუა, თოვლის პაპა
კომენტარი: ბუხართან ჩამოკიდებული წინდები და საჩუქრები შობის ერთ-ერთი სიმბოლოა. სანტას მარხილს ცხრა ირემი ეზიდება.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Christmas_stocking
https://www.thepioneerwoman.com/holidays-celebrations/a41926621/how-many-reindeer-does-santa-have/

9. 7 ქულიანი შეკითხვა
ბარონი მიუნჰაუზენი ერთხელ ირემს წააწყდა, რომელსაც შუბლზე **ალუბლის ხე** ჰქონდა ამოსული. საქმე ისაა, რომ ბარონმა **ერთი წლით ადრე** ამ ირმის **მოსანადირებლად იქსის ნაცვლად** ალუბლის **კურკა** გამოიყენა. დაასახელეთ იქსი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ტყვია
კომენტარი: ბარონს ტყვიები გაუთავდა და ირემს თოფიდან ალუბლის კურკა ესროლა, რის შედეგადაც ირმის თავზე ალუბლის ხე ამოიზარდა.
წყარო: რუდოლფ რასპე - ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი

10. 5 ქულიანი შეკითხვა
2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ლუის სუარესმა **მეტოქეს უკბინა**. ამის გამო ერთი გაზეთი სუარესის **წინააღმდეგ** მოთამაშე მცველებს **ნივრის ტარებას** ურჩევს, თავად სუარესს კი **ადარებს არსებას**, რომელსაც **ჰელოუინისას** ხშირად შეხვდებით. დაასახელეთ ეს არსება **შვიდასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ვამპირი
კომენტარი: სუარესმა მცველ ჯორჯო კიელინის უკბინა, რის გამოც ის ვამპირს შეადარეს. პოპულარული გადმოცემების თანახმად, ვამპირებს ნივრის ეშინიათ.
წყარო: https://www.thescore.com/fran/news/1140000

11. 6 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

ILLUMINATION]
კომპანია “**ილუმინეიშენის**” ერთი **მულტფილმი** იწყება იმით, რომ **პერსონაჟები** კომპანიის **სახელში ანადგურებენ პირველ**, **მეორე**, **მესამე**, **მეოთხე**, **მერვე** და **მეცხრე ასოებს**. დაწერეთ, **ვინ არიან** ეს პერსონაჟები.

პასუხი: მინიონები
კომენტარი: სიტყვაში “ილუმინეიშენ” მოცემული ასოების ამოშლით მივიღებთ სიტყვას “მინიონ”. ეს პერსონაჟები არიან მინიონები.
წყარო: https://www.youtube.com/watch?v=3-zptFsUBGs

12. 7 ქულიანი შეკითხვა
ერთმა **უდაბნოს მცენარემ** ცხოველებისაგან **თავის დასაცავად იქსები გამოიმუშავა**. ერთ მულტსერიალში ეს მცენარე **საფრთხეს უქმნის ბუშტს**. დაწერეთ, რა შევცვალეთ **იქსებით**.

პასუხი: ეკლები
ჩათვლა: ნემსები
კომენტარი: კაქტუსი სხვადასხვა არსებისგან თავს მჩხვლეტავი წანაზარდებით იცავს. ბუნებრივია, ბუშტი გასკდება, თუ კაქტუსს შეეხება.
წყარო: https://theamazingworldofgumball.fandom.com/wiki/Carmen_Verde
https://www.vermontpublic.org/programs/2021-01-29/why-are-cactuses-spiky

13. 5 ქულიანი შეკითხვა
ძველ იაპონიაში **ამაღლებულ იქსს** იყენებდნენ იმისთვის, რომ ძვირფასი ტანსაცმელი **ტალახიანი მიწისგან დაეცვათ**. მულტფილმში “**შრეკი 2**” ვხვდებით **კატას**, რომელსაც **აცვია იქსი**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ფეხსაცმელი
ჩათვლა: ჩექმა
კომენტარი: იაპონელები ძვირადღირებული კიმონოების ტალახისგან დასაცავად ამაღლებულ ფეხსაცმელს ატარებდნენ. მულტფილში “შრეკი 2” ვხვდებით ჩექმებიან კატას.
წყარო: https://themoderndirectory.com/education/the-history-of-high-heels/?form=MG0AV3

14. 6 ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
ბევრ ქვეყანაში **სასწრაფო დახმარების მანქანებს** წარწერა სწორედ ასე აქვთ გაკეთებული.

როდესაც **მძღოლი იქსში ჩაიხედავს**, ის **მიხვდება**, რომ **მის უკან** სასწრაფო დახმარების მანქანაა და მან **გზა უნდა დათმოს**. დაწერეთ იქსით **შეცვლილი სიტყვა**.

პასუხი: სარკე
კომენტარი: თუ ამ შებრუნებულ გამოსახულებას სარკიდან წავიკითხავთ, ტექსტი გასწორდება და ამოვიკითხავთ სიტყვას “AMBULANCE”. ამგვარად ეხმარებიან მძღოლებს, მარტივად ამოიცნონ სასწრაფო დახმარების მანქანა საჭესთან სარკეში ჩახედვის დროს.
წყარო:
https://byjus.com/question-answer/why-is-ambulance-written-backward-in-an-ambulance-to-draw-attention-if-you-look-at/

15. 7 ქულიანი შეკითხვა
ქართული იქსების ბოლოს ვხვდებით **ხორბალთან** დაკავშირებულ **ორ პროდუქტს**. **ბოლო პერიოდში** პოპულარული **სიმღერის** თანახმად, **იქსის ბოლო კეთილია**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ზღაპარი
კომენტარი: პოპულარული ქართული სიმღერის თანახმად, ზღაპრის ბოლო კეთილია. ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
წყარო:
https://karabadini.ge/product-category/%E1%83%A4%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D/
https://www.youtube.com/watch?v=OucX0et-6NY